პარასკევი 12 ოქტომბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი—№ 223

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით—75 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ღირს 3 მან.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდ წერილებს და მოთხრობებს. წერილობით პასუხისათვის საჭიროა გამოგზავნოთ საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლისათვის ტფილისიდან ტფილისს გარე ღირს 1 მან., ხოლო ტფილისს გარეთიდან სხვა რომელიმე ქალაქში—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ღირს 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

ყოფილ სახალხო მასწავლებლის

მაშო სალარიძის

უდროვოდ და ულმობლ გამქრალ სიცოცხლის ორმოცის თავზე, დღეს, 12 ოქტომბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე, გადახდილი იქმნება პანაშვიდი კუკიის სასაფლაოზედ. (1—ნ.—1)

ქართული — საარტისტო საზოგადოების თეატრში — წარმოდგენა

პარასკევს, 12 ოქტომბერს 1907 წ.

გაიმართება პირველი წარმოდგენა სეზონის დასაწყისად

ილია ჭავჭავაძის სახსოვრად

I
პატივისცემა
დიდებულ პოეტის ქანდაკების წინაშე. სიტყვები და ლექსები

II
ოთარაანთ ქვრივი
დრამატიული სურათი 3 მოქმ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან გადმოღებული.

III
ცხოველი სურათები

IV
გლახა ჭრიაშვილი
(სცენები მომრიგებელ შუამავალთან) ილია ჭავჭავაძის თხზულება.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

დასაწყისი სწორედ რვა საათზე.

მორიგი წევრი გამგეობისა ალ. პ. ხარაჯიშვილი. რეჟისორი ვალ. გუნია.

დარიგდა გასასყიდად მრავალის ნახატით დასურათებული კრებული (300 გვერდზე მეტია)

ილია ჭავჭავაძის



[illegible]

გამოცემა (მაშო სალარიძის დახმ.) ამხ. „გალმისა“, რედაქცია „მიწისა“. ფასი ათი შაური. გამოვიდა აგრეთვე ლია დასურათებული ბარათები (ОТКРЫТКИ) ცალი 3 კაპ. შემოსავლის 25% გადადებულია ილიას ფონდისათვის. უმთავრესი საწყობი ამხ. გამგესთან, გ—გი სალარიძესთან, ტფილისში, ვერის დაღმართზე № 15. (3—ნ.—1)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—ნ.—21)

კბილის ექიმი

ს. გ. რომანიშვილი

მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის.

მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—ბ.—20)

ექიმი

ივ. გომართელი

შინაგან საქირურგიო სნეულებ. ნი. ტფილისში. გოლოვინის პროსპექტი სახლი თამამშევისა. № 33. (25—526—25)

ქუთაისში

კბილის ექიმი ქალი

ე. დ. ნასარიძე

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ქ. ქუთაისში

ექიმი ი. ი. ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით ვენერიულ, ხიფილისიან და კანით ავადმყოფებს. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უოპერაციოდ პროფ. ზიერის მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (27—ფ.—8)

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—197)

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ექიმი

მ. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ქუთაისში

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას, მოითხოვოს ფირალოვის პაპიროსი „სიმპატია“ და „ინტელიგენტი“, რომელიც წმინდა „გრაინცის“ საუკეთესო პლანტაციების სუნელოვან თუთუნით არის შეზავებული და პროგრესიულად გაუმჯობესებული.

(10—კვ—4) პატივისცემით მმ. ფირალოვები.

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

განქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

რუდინკო—შინ. ნეულ. კვირა 3—4 ს.

რიდელ—კანისა, ვენ., სიფ. ყოველდ. 1½—3 ს.

იანჩევსკი—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.

ერმოლაევი—ბავშ. შინ. ყოველდღე. 1—12 ს.

პავლოვსკი—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

ასპისოვი—ყურ. ყელ. ცხვ. ყოველ დღე 12½—1½ ს. სამშაბ. და პარ. გარდა.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშ., ოთხშ.. პარას. კვირ. 1—2 ს.

ზოტოვსკი—შინ. ყოველდღე 11½—1 ს.

გორალევიჩი. შინაგ. ყოველ დღე, 11½—1½

ინაევი—ქალთა ავად. დროებით წავიდა.

ჩუდნოვსკი—ნერვ., სულ., ელექტრ. ყოველდღე. 4—5 ს.

ვნუკოვი—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.

ნოვიცკი—ქალ., ბავშვ. ყოველ 1—2.

ნეგშორთვა—კბილისა, ყოველდღე 10—12 და 3—5 ს.

გორომბლოვისა—მასსაჟი. ყოვ. დღე 12—4 ს.

პივარსკი, ჩუდნოვსკი — კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—43)

იყიდება

ღვინის სარდაფი

თავის მოწყობილებით, ნივთებით და პატენტით. ადრესი წყნეთის ქუჩა, № 39, „უდელის“ სარდაფის პირდაპირ. (2—153—2)

ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

დოქტორი მედიცინისა

გ. გ. გურგენოვი

ყოფილი საშტატო ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის საქალო ავადმყოფობისა და ბებიაობის კლინიკისა გადმოვიდა გოლოვინის პროსპ., № 12 საარტისტო სახ. თეატრის პირდაპირ. ავად მყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (25—355—1)

წყნეთის ქუჩაზე დავკარგე ქართულ საქველ მოქმედო საზოგადოების საკვიტანციო წიგნი № 10. მპოვნელს ვთხოვ წარმოადგინოს „ისრის“ რედაქციაში. (2—უ.—1)

## ტფილისი, 12 ოქტომბერი.

ყოველთვის, როცა კი სახელმწიფოში არსებული უფლებრივი წეს-წყობილება არ შეესაბამება ხალხის უფლებრივ თვით-შეგნებას, ისტორიულის აუცილებლობით იქმნის ისეთი პოლიტიკური და სოციალური ატმოსფერა, რომელიც ძირს უთხრის ყოველგვარ პროგრესს, ფართო ასპარეზს აძლევს ნაძირალებს სათარეშოდ და ქვეყანას დაღუპვისაკენ მიეზიდება. ეს საყოველთაო ფაქტია, თუ გნებავთ კანონია. ძირითადი მიზეზი კი ამ საერთო ფაქტისა ისაა, რომ არსებულ წეს-წყობილების და უფლებრივ თვით-შეგნების წინააღმდეგობა აუცილებლად იგულისხმებს პოლიციურ რეჟიმის სისასტიკეს და ზნეობრივ ღირებულებათა დაცემას. ისეთის წეს-წყობილების შერჩენა ან აღდგენა, რომელსაც ხალხის დიდი უმრავლესობა არ თანაუგრძნობს, მხოლოდ ფიზიკურის ძალის საშუალებით შეიძლება. ფიზიკურს ძალას ან იმის მავარჯიშებელ პოლიციას ევალება სდევნოს ყოველ-გვარ ხელ-მისაწვდომ საშუალებით ხალხის ის ნაწილი, რომლის აზროვნებაც არსებულს უფლებრივს წეს-წყობილებას არ ადასტურებს. აქედან წარმოსდგება მცხოვრებთა აუცილებელ რიცხვის განდევნა და გამოგდება მის ჩვეულებრივ მდგომარეობისა და შრომისაგან, ე. ი. დეკლასსაცია. ეს განდევნილი ელემენტები ერთის მხრივ შურის საძიებლად, მეორის მხრივ კი ლუკმა პურის საშოვნელად პარტიზანულ ბრძოლას ეწევიან მმართველობის წარმომადგენლებთანაც და თვით საზოგადოებასთანაც. მყარდება ის საზოგადოებრივი არევ დარევა, რომელსაც ოფიციალურ ენაზე ანარქიას ეძახიან. რაც უფრო მკაცრად ირჯება საპოლიციო რეჟიმი ანარქიის მოსასპობლად, მით უფრო მეტს უკმაყოფილო ელემენტსა ჰქმნის იგი ნებით თუ უნებურად საზოგადოებაში, მით უფრო აძლიერებს ანარქიის ხელშემწყობ პირობებს. მმართველობა იმ საარაკო გმირს ემგზავსება, რომელიც საფლობიდან ამოსასვლელად თავის თავს თმებით ეწეოდა, მაგრამ უფრო კი ღრმად იფლობოდა.

საზოგადოებრივი მდგომარეობა დღითი დღე უკიდურესი ჰხდება. მყუდრო ცხოვრებისაკენ გამოსავალი გზა აღარა სჩანს. ერთად-ერთი საშუალება ანარქიისაგან თავის დასაღწევად არსებულ უფლებრივ წესწყობილების შეცვლაა. მაგრამ ვინ მოახდენს ამ ცვლილებას? მთავრობას ეს არა სწადიან, ხოლო ვაი და ვაგლახი ქვეყანას, თუ თვით ხალხს ამისთვის საკმაო ძალა არ გააჩნია. ამ შემთხვევაში მთელი ქვეყანა უფსკრულისაკენ მიექანება და ბოლოს შინაურ ბრძოლის ტალღებში ჩაიღუპება და მოკვდება ისე, როგორც მოკვდა, მაგალითად, დიდებული რომი.

რეაქციის გაძლიერება მარტოოდენ რევოლიუციის და რევოლიუციონერებისთვის არ არის სახ-ფათო. იგი სახიფათოა მთელის ქვეყნისთვის, იგი საშინელს განსაცდელში აგდებს მთელს ხალხს. ზოგჯერ რეაქცია დიდის ხნით იმარჯვებს. ასეთ გამარჯვების აუცილებელი პირობაა თვით მცხოვრებთა უფლებრივი თვითშეგნების გადახრა მარჯვნივ. რეაქციის მესვეურებს ყოველთვის მშვენივრად ესმით, რომ ეს ერთად ერთი პირობაა მათის გამარჯვების სიმტკიცისა და ამიტომაც ახმარებენ ისინი ამას თავიანთ ენერგიის უდიდეს ნაწილს.

რუსეთში ფიზიკურად და გარეგნულად რეაქციამ 1905 წლის დეკემბერში გაიმარჯვა. აქედან დაიწყო რეაქციისაგან განუშორებელი საზოგადოებრივი ანარქიაც, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. პირველისა და მეორე სათათბიროს ოპოზიციონური განწყობილება საუკეთესო დემონსტრაცია იყო ამ ანარქიის ძირითად მიზეზისა: ხალხის უფლებრივ თვით-შეგნებისა და არსებულ უფლებრივ წეს-წყობილების წინააღმდეგობისა.

მესამე სათათბიროს უმრავლესობა მთავრობის მომხრე იქნება. ოპოზიცია ეხლა სათათბიროს ერთს მესამედსაც ძლივს შეადგენს. შორიდან მაყურებელს შეიძლება ეს გარემოება იმის მაჩვენებლად ეგონოს, ვითომ რეაქციას რუსეთის მცხოვრებთა უმრავლესობის პოლიტიკური განწყობილება მარჯვნივ გადაეწიოს და უკვე საბოლოოდ თუ არა, დიდის ხნით მაინც გაემარჯვოს რევოლიუციაზე. არსებითად ასეთი დასკვნა სრულიად არ შეეფერება საქმის მდგომარეობას. საკმაოა, თვალი გადავავლოთ არჩევნების შედეგს პირველსა და მეორე საფეხურებზე, და ნათლად დავინახავთ, რომ რუსეთის მცხოვრებთა ის ელემენტები, რომელნიც დღემდე ოპოზიციონურ დეპუტატებს ჰგზავნიდნენ სათათბიროში, დღესაც ისევ მემარცხენეებს ირჩევენ. ხოლო თუ ამ ელემენტების მიერ ნდობით აღჭურვილნი ეხლა ნაკლებ მოჰყვებიან სათათბიროში, ამისი მიზეზი პოლიტიკურ განწყობილების მარჯვნივ დახევა კი არა, მხოლოდ ისაა, რომ 3 ივნისის საარჩევნო კანონმა ძლიერ საგრძნობლად შეავიწროვა მშრომელ ხალხის საარჩევნო უფლება.

ამიტომ, თუმცა მესამე სათათბიროს შედგენილობა წინანდელივით ოპოზიციონური არ იქნება, მაგრამ ეს გარემოება სრულიად იმისი დამამტკიცებელი არ არის, ვითომც რეაქციას რაიმე მტკიცე ნიადაგი აღმოეჩინოს თავის ბატონობის ხანგრძლივ შერჩენისთვის. პირიქით, საარჩევნო კამპანიის შედეგი ცხად ჰყოფს, რომ ეხლანდელი პოლიტიკური წესწყობილება მხოლოდ ფიზიკურ ძალაზეა დამყარებული და ამიტომ არც მოსალოდნელია, რომ მესამე სათათბირომ რაიმე მალამო დასდოს იმის ზნეობრივს სისუსტეს.

### რა გაჭირვებაშია ქართლელი გლეხი

(წერილი ფრონის ხეობიდან)

ოქონის საზოგადოების ცნობილი მამასახლისი გიჩო ბაბაშვილი ქრთამებისა გამო თანამდებობიდან გადააყენეს. 26 აგვისტოს გამოსათხოვარი სადილიც-კი გაუმართეს ცეროვნელმა ნაძირალებმა. ერთის წუთით ოქონის საზოგადოების ოსმა და ქართველმა მცხოვრებმა თავისუფლად ამოისუნთქა და ბევრი წყევაკრულვას უგზავნის გიჩო ბაბაშვილს.

თან და თა თან აშკარავდება მისი ყოვლად საზიზღარი საქმეები. ქრთამების აღებას ვიდა სჩივის: ეს ხომ „ჩვეულებრივი გამორჩენაა“ და დღევანდელ სავალალო დროს სათაკილოთაც არავის მიაჩნია... გიჩო ბაბაშვილის ქრთამების ამბავი რომ ჩამოვთვალო, ორი თაბახი ქაღალდი არ ეყოფა. ხელთა მაქვს მრავალი საბუთი. ვიტყვი მხოლოდ, რომ მთელ საზოგადოებაში ისეთი სოფელი არ მოიპოვება, რომ არავინ არ გაეგლიჯოს—ეხლა ძას ბანკშიაც კი აქვს შენახული ნაარმევი ფული. ვიმეორებ, ქრთამების აღება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, და ბევრს სტრაბახოდაც კი მიაჩნია: ეხლანდელ დროში ვინც მეტს გამორჩება ხალხისაგან, „კაციც ის არის და ქუდიც იმასა ჰხურავსო“.

უფრო სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ამ ნაძირალებმა არ დაინდეს ხალხის პატიოსნება და იმისი ოჯახის სახელიც-კი შეურაცხყვეს. დღეს რეაქციის წყალობით სოფლის ქვემძრომი მოხელენი სარგებლობენ აძითი, არაფერს ერიდებიან, გლეხის ოჯახა თავს-ლაფს ასხამენ და აუპატიურებენ.

რატომ გლეხი ხმას არ იღებს? რატომ არ აძლევს შესაფერ პასუხს თავ-ლაფდამსხმელს? რატომ იქვე გამაუპატიურებელს ტვინს არ უნთხევს?—გლეხი დღეს მთელის თავის არსებით რეაქციისაგან შებორკილია და ძალა არ შესწევს სამაგიერო პასუხი გასცეს. რეაქციისაგან გლეხი ისე დაკნინდა, ისე დაეცა სულით და დავაგლახდა, რომ ამ თავლაფ-დასხმასაც კი უძლებს, ჯავრს, ვარამს, სიძულვილს გამაუპატიურებლისადმი გულში იკლავს და ხმას, კრინტს არა სძრავს.

ამ ახლად მოვლენილმა ეგრედ წოდებულმა „გუგუშვილის“ მამასახლისებმა და სტრაჟნიკებმა ისეთი თავზარი დასცეს გლეხს, რომ გინდოდეს რისამე გაგება მისგან, გინდოდეს მისი შველა, იცოდე ნამდვილად, რომ მას ცუდად მოექცნენ და გსურდეს მისგან დასახელებულ რისამე გაგება, ყოვლად შეუძლებელია ხმა ამოაღებინო. ბევრი ცდა და შრომა დამჭირდა, რომ დანამდვილებით გამეგო შემდეგი ქვემო მოყვანილი ამბები. თუმცა პოლიციის ერთის მოხელისაგან გაგებული მქონდა გიჩო ბაბაშვილის საზიზღარი საქმეები, მაგრამ მე მარტო მას არ ვენდე, ალაგობრივ გამოკითხვით გავიგე და დავრწმუნდი მის გულის ამმღვრევ საზიზღარ საქმეებში.

1. სოფ. ავლევში ფეხშველაშვილის ცოლზედ პირველში ძალა იხმარა და გააუპატიურა, შემდეგ შიშით შეიჩვია და ყოველთვის თავის ქვენა გრძნობების დასაკმაყოფილებლად გასწევდა ხოლმე

ფეხშველაშვილის სახლისკენ (ერთი პატარა ოთახის მეტი არა აქეს), ქმარს გარედ საყარაულოდ დააყენებდა, იქვე მეზობლებსაც აყარაულებინებდა, თითონ-კი ოთახში იყო. ქმარი კარებთან იდგა ატუზული და თავ-ლაფ-დასხმული მიწას ჩასჩერებოდა.

2. ამ გაზაფხულზედ ბათუმიდან ერთმა ფცაელმა ბაზიერაშვილმა წამოიყვანა ახალ-გაზდა ქალი მეგრელაშვილისა შესართავად, იმის უფროსი დის გაუგებრად. ფცაში ბაზიერაშვილმა ქალი დანიშნა და საკვირაცხოვლოდ ჯვარი უნდა დაეწერა. როდესაც იმისმა უფროსმა დამ ვეღარა გაიგო რა თავის დისა, ადმინისტრაციას აცნობა, ხოლო ადმინისტრაციამ მამასახლისებს მოწერილობა დაუგზავნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ სადაც ესა და ეს ქალი ნახოთ, წარმოადგინეთო. ეს მოწერილობა გიჩო ბაბაშვილმაც მიიღო. გაიგო, რომ ქალი იმყოფებოდა ფცაში და თავის კანცელარიაში სოფ. ცერონისში ამოიყვანა—მისი უფროსი დაც წამოსულიყო საძებნელად. სწორედ იმ დროს მივიდა სოფ. ცერონისში, და რა ნახა: ნახა კანცელარიაში თავისი და, მამასახლისის მიერ ნაცემი და გაუპატიურებული. უფროსმა დამ, აღშფოთებულმა, დაფხრეწილი საცვლები აიღო და ხალხში მამასახლისს უთხრა: „ეს არის თქვენი პატიოსნება; აქ ქართლში პოლიცია ამას გიბრძანებთ, რომ ამისთანა გულის ამღვრევი სიმხეცე მოიქმედოთ? უპატრონო ქალი ჩაიგდეთ ხელში და აგრე მხეცურად მოუქეცით?! თქვენ ადამიანები კი არა, მხეცები ყოფილხართ!-ო.

3. სოფ. ბზების ხევი ახლად დასახლებულია, ოთხი კომლი იმერელი ცხოვრობს, ატოცის საზოგადოებას ეკუთვნის და შუაგულ საფალავანდო ტყეში მდებარეობს. გიჩო ბაბაშვილი თავის ჩაფრებით ლოპინის ხეობისაკენ წავიდა ყაჩაღების დასაჭერად, დაბინავება ბზებისხევში მოუხდა, ექვთიმე შუბლაძის სახლში ჩამოხტა. ამ სოფელში დაიწყეს თავისებური ჩხრეკა და, რაც ხელ-მოსაკრავი იყო, ხურჯინებში ჩაალაგეს. ექვთიმე შუბლაძეს გასათხოვარი ქალი ჰყავს. მამასახლისმა თვალი შეასწრო, მოინდომა მისი გაუპატიურება და, გაუჭირდებოდა თუ, შეისრულა კიდეც. ქალი, როგორც ამბობენ, თავის ჭკუაზედ აღარ არის.

4. სოფ. მუხურშიაც გაითარეშა ერთხელ გიჩო ბაბაშვილმა თავის სტრაჟნიკებით ვითომდა ყაჩაღების აღმოსაჩენად. მამაკაცებს ცალკე მოუყარა თავი და სტრაჟნიკები შემოარტყა, თითონ დაიწყო სახლებში თარეში. ქალმანა ალბორიშვილის სახლში შემთხვევით გათხოვილი ქალი, ქიტა შიუკაშვილის ცოლი, დაესწრო. მამასახლისმა კარები მიკეტა და წადილი შეისრულა.

5. სოფ. გადილნაში ამ ზაფხულს მოჰკლეს მამასახლისის თანაშემწე. გიჩო ბაბაშვილი სტრაჟნიკებით და ყაზახებით გადილნაში წავიდა საქმის გამოსაძიებლად. რასაკვირველია, ჩვეულებრივ მიჰყვა სოფლის აწიოკებას და რამდენიმე კაციც გაამათრახა. გამათრახებულმა ქოზაშვილმა მამასახლისს უთხრა: მე რაზედ მკლავთ, იაგორ ცხოვრებაშვილმა მოაკვლევინა „პომოშნიკიო“. იაგორ ცხოვრებაშვილს ახალგაზდა პირ-მოხდენილი ცოლი ჰყავს; მამასახლისი, სარგებლობს რა გარემოებით, ცხოვრებაშვილს სრულიად ანთავისუფლებს და მის ცოლს გასამრჯელოდ ხმარობს. გამათრახებული ქოზაშვილი მაინც დაიჭირეს და კანცელარიაში სოფ. ცერონისში ჩაიყვანეს. მერე ბევრის ცემის შემდეგ ციხეში გორისკენ გაჰგზავნეს.

როდის ვეღირსებით ამ ბარბაროს მოხელეებისაგან განთავისუფლებას?!

Legatus.

## ახალი ამბავი

✦ **ქართული წარმოდგენა ილია ჭავჭავაძის პატივსაცემლად.** დღეს იწყება ტფილისში ქართულ წარმოდგენების სეზონი. ეს პირველი წარმოდგენა დაუვიწყარ მგოსნის ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივ საცემლად იმართება და, როგორც პროგრამიდან სჩანს, ძალიან საინტერესო უნდა იყოს. გაიმართება პატივისცემა—წაიკითხავენ სიტყვებს და ლექსებს. შემდეგ დაიდგმება დრამად გადაკეთებული „ოთარაანთ ქვრივი“, „ცხოვლი სურათები“ და „გლახა ჭრიაშვილი“. მონაწილეობას მთელი დასი იღებს.

✦ **კიდევ პურის გაძვირების შესახებ.** ტფილისში პურის ძალზე გაძვირებამაც-კი ვერ დასძრა ქალაქის საბჭოს ძველი ხმოსნები. თუმცა საბჭოს სხდომა განსაკუთრებით ამ საკითხის განსახილველად ზედიზედ რამდენჯერმე დაინიშნა, მაგრამ ხმოსნებმა ყურიც არ გაიბერტყეს. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა 10 ოქტომბერს კერძო თათბირზე მიიწვია ახალი ხმოსნები, სამეურნეო პოლიციის აგენტები და ამ საქმის მცოდნენი. ქალაქის გამგეობამ მოხსენება წარუდგინა ხმოსნებს. მოხსენებაში გამგეობამ მოკლედ აღნიშნა მიზეზები ტფილისში და საზოგადოდ ყველგან პურის გაძვირებისა. პირველი და უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ რუსეთიდან წელს დიდ ძალი პური გადის საზღვარ-გარედ. წელს ამერიკაში ცუდი მოსავალი ყოფილა და ამიტომ რუსეთიდან გააქვთ. გარდა ამისა, პურის სიძვირის მიზეზი ისიც არის, რომ საქართველოში წელს მოუსავლობა იყო. ხმოსნებმა კარგა ხანს იკამათეს და, დასასრულ, დაადგინეს, დაევალოს გამგეობას განკარგულება მოახდინოს, რომ ვიდრე საბჭო პურის ნიხრს დააწესებდეს, მეთონეებმა პური $5^1/_2$ კაპეიკზე ძვირად არ გაყიდონ, ხოლო მეფურნეებმა პირველ ხარისხის პურში უნდა აიღონ 5 კაპ., მეორე ხარისხისაში $4^1/_2$ კაპ. კრებამ ამასთან დაადგინა, განიხილონ საკითხი პურის შესახებ ორშაბათს, 15 ოქტომბერს.

✦ **სამხედრო ბეგარა.** სამხედრო ბეგრის მოსახდელად წელს ტფილისის მაზრიდან გაიყვანენ 289 კაცს. კენჭის ყრა სამგან მოხდება: 15-დან 22 ოქტომბრამდე სოფ. ელისავეტალში, 26—31 ოქტომბრამდე მარიენფელდში, 2-დან 8 ნოემბრამდე ტფილისის სამაზრო სამხედრო საკრებულოში.

✦ **ბიუროკრატიის მზრუნველობა.** ამ რამდენისამე წლის წინად შცხეთის საზოგადოება თავის ხარჯით შეუდგა სკოლისათვის შენობის აგებას. კედლები კიდეც აიყვანა სახურავამდე. საზოგადოებამ ამასთან ყრილობაზე დადგინა, სკოლა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების განკარგულებაში გადაეცა. ეს დადგენილება ეუცხოვა სათანადო მთავრობას და ყრილობის განაჩენი არ დაამტკიცა. ამასთან სამოსწავლო უწყების მოხელეებმა ვაჭრობა გამართეს საზოგადოებასთან: სკოლა ჩვენ გადმოგვეცით, 600 მან. მოგცემთ და სკოლის შენობას დაამთავრებთო. საზოგადება ძალაუნებურად დაემქვემდებარა ასეთ განკარგულებას, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მეორე წელიწადი გადის და ჯერაც ფული არ მიუციათ შენობის დასამთავრებლად. საზოგადოებას ისე გასტეხია გული, რომ მშვენიერად დაწყებული საქმე ლამის სულ ჩაიფუშოს და უკვე აშენებული სადგომიც ჩამოინგრეს.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციას მოუვიდა ახალი წიგნი—„ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, გამოცემა „კალმისა“. ამ წიგნში თავმოყრილია ყოველნაირი მასალა შესახებ ილია ჭავჭავაძის მოკვლისა და დასაფლავებისა. გარდა იმისა, რაც დაბეჭდილია ქართულ პრესაში ამ საგანზე. წიგნში ჩართულია კიდევ მრავალი სიტყვა, ლექსი და ცნობა, ბიოგრაფიული წერილები, მოგონებანი, შენიშვნები და სხ... ამ მასალამ საერთოდ შეადგინა მოზრდილი ტომი 280 გვერდამდე. წიგნში ჩართულია მრავალი სურათი ილიას სახლ-კარისა, გამოსვენებისა, დასაფლავებისა და 7 სურათი თითონ განსვენებულ მგოსნისა, სხვა და სხვა დროს გადაღებული. სურათები ცალკე სქელ ფურცლებზეა დაბეჭდილი. გარეგნულადაც წიგნი სუფთად და კოხტად არის გამოცემული, თუმცა კორექტურული შეცდომა ბევრია. საზოგადოთ წიგნი მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ყველა ამასთან ერთად იგი ძალიან იაფია—280 გვერდიან. დიდი ზომის წიგნი ღირს სულ ათ შაურად.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს მულანდოელნი ალი-ნალი-ოღლი, რომელსაც გაუცარცვავს მღვ. თედოევი, სოღნაღელნი გ. ლაფთიევი, კნ. თინ. ვაჩნაძე და ჩალაუბნელნი ღვთისა ფრიდონაშვილისა, სოსია ბერძენიშვილი, შაქრო დოიაშვილი, ალექსი ფრიდონაშვილი, დათა კოკოჩაშვილი და თედო ბებუთაშვილი. სამხედრო წესების მოხსნამდე იგზავნებიან: ორენბურგის გუბერნიაში ჯუგაანელი ვანო ბალიაშვილი და ქვემო-მაჩხანელი დათა მუსულაშვილი და ლევან მაძგარაშვილი. წესების დარღვევისათვის დააპატიმრეს ორი თვით გ. ალექსეევი და ს. მაისურაძე. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ ტატო კვარცხიშვილს და სიმონ ხუტაშვილს. ათი თუმნით დააჯარიმეს ტფ. მოქალაქე ალექსანდრე ელბაქიძე.

✦ **მკვლელობა.** 10 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის სადგურის მახლობლად უცნობებმა რევოლვერით მოჰკლეს გამვლელი კაცი, რომლის ვინაობა ვერ გავიგეთ. მკვლელი გაიქცა დასამალავად. პოლიციელები გამოუდგნენ, მკვლელს რამდენჯერმე ესროლეს, მაგრამ მან მოასწრო დამალვა.

✦ **უცნობის მოკვლა.** 10 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, ლაზარევისა და ავლაბრის ქუჩების კუთხეში უცნობმა რევოლვერი ესროლა ალექს. გიორგობიანს. მიზეზი ის არის ვითომ, რომ მეთორნეს გირვანქა პური იქვს კაპეიკად არ მიუყიდნია. უცნობი გაიქცა, მაგრამ პოლიციელები გამოუდგნენ, ესროლეს და მოჰკლეს მოკლულს რევოლვერი აღმოაჩნდა.

✦ **თავდასხმა.** ელისაბედის ქუჩაზე, 10 ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ გაჯი-იზის იმამოვის პურის საწყობში შევარდა სამი შეიარაღებული კაცი და გაიტაცა 215 მან. და მიიმალა. გამქცეულებს უკან ტყვიაც მოაყოლეს, მაგრამ ისინი მალე გაჰქრნენ.

✦ **ქალაქის თავი.** თან და თან ირკვევა, რომ ყველაზე მეტი შანსი ქალაქის თავის თანამდებობაზე ვ. ნ. ჩერქეზიშვილსა აქვს. ამიტომ, რამდენადაც შევიტყეთ, ქალაქის საბჭო არჩევნებს აღარ გააჭიანურებს და შესაძლებელია 15 ოქტომბერს მოახდინოს.

✦ **ეგზარხოსის ჩამოსვლა.** 10 ოქტომბერს პეტერბურგიდან ტფილისში დაბრუნდა საქართველოს ეგზარხოსი ნიკონი.

✦ **დაპატიმრება.** ტფ. მერვე საპოლიციო ნაწილში პოლიციამ დააპატიმრა სოფელ წყრულეთის მცხოვრები გაბრიელ აფციაური, რომელსაც პოლიცია 2 წელიწადია დაეძებს თურმე. აფციაურს ჰბრალდება მოკვლა ოთხის სტრაჟნიკისა და ახალ-სოფლის მცხოვრების მახარა კობაიძისა; ჰბრალდება აგრეთვე ძარცვა-გლეჯა. დაპატიმრებული მეტეხის ციხეში გაჰგზავნეს.

✦ **ცნობები მოსავლის შესახებ.** ტფ. გუბერნატორმა ცირკულიარული მიწერილობანი დაუგზავნა მაზრის უფროსებს და მოსთხოვა ცნობები წლევანდელ მოსავლის შესახებ.

✦ **ტუსაღის მოკვლა.** როგორც „კავ.“ გადმოგვცემს, 10 ოქტომბერს მეტეხის ციხეში ორჯელ გაფრთხილების შემდეგ მოდარაჯე სალდათს მოუკლავს ტუსაღი შეროტიანი.

✦ **კრებები.** ილია ჭავჭავაძის ფონდის შესახებ მოსალაპარაკებლად ქალების კრებები მოხდება დღეს და კვირას.

✦ პოლიციელებმა 10 ოქტომბერს დააპატიმრეს სერგო კასრაძე, რომელსაც პოლიციის პირველ ნაწილის „გოროდოვოის“ ნიკოლაევის მოკვლა ჰბრალდება.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ: სხვადა სხვა მიზეზების გამო 14 ოქტომბერს წარ-

## ფელეტონი

### გზებით იაპონიაში

საზაფხულოდ ჩინეთში დამნიშნა ინსტიტუტმა.*) წავედი მოხელეთა ენაზე ეგრედ წოდებულ „კამანდიროვკა“-ში. მოუთმენლად ველოდი ამ საზღაპრო ქვეყნის ნახვას. მახსოვს ჯერ ისევე დაბალ სასწავლებელში გეოგრაფიის გაკვეთილი ჩინეთის შესახებ! რა რიგ იტაცებდა ოცნებას აღმოსავლეთის ბუმბერაზის ამბები და ნამეტნავად ჩინეთის დიდი კედელი! რა გვენატრებოდა მაშინ მე და ჩემ პატარა ამხანაგებს ამ საოცარ ქვეყნის და ნამეტნავად ათას-ვერსიან კედლის ნახვა, რომელზედაც ხუთი-ექვსი ურემი ერთად თავისუფლად გაივლისო. მაშინ ფიქრადაც არ მომივიდოდა, თუ როდისმე ჩემის თვალით ვნახავდი ამ ათასიან წლების სახელმწიფოს! და აი, რაზედაც წინად ოცნებასაც კი ვერ ვბედავდი, დღეს ცხადად უნდა მენახა და გამეცნო! ევროპაში მოგზაურობა, რასაკვირველია, დიდად საინტერესო და შთაბეჭდილებით მდიდარია, მაგრამ ჩინეთი უფრო საიდუმლო და უცნობია ჩვენთვის. ევროპიელებთან ხომ ასე თუ ისე კავშირი მაინცა გვაქვს. მათი ბევრი ჩვეულება ჩვენცა გვაქვს. ევროპის შესახებ ბევრი რამ ვიცით და გაგვიგონია, ზოგჯერ უფრო მეტი, ვიდრე ჩვენს სამშობლო ქვეყანაზე.

სხვაა შორეული აღმოსავლეთი, ნამეტნავად ჩინეთი. სხვა სახის ხალხი, სულ სხვა გვარი ზნე-ჩვეულება, სახელმწიფოს წყობილება და ვინ იცის კიდევ რა! ჩინეთი თითქმის სრული წინააღმდეგია იმისა, რაც ჩვენა ვართ და გვინახავს. ჩემთვის ცნობის მოყვარეობას სიამაყეც ემატებოდა: ხუმრობა ხომ არ არის, მკითხველი, ამ სიშორეზე მოჰხვდე და ახალი ქვეყანა ნახო!

ძლივს ინათლა, რომ ჩვენი ხომალდი ვლადივასტოკს მოშორდა და გზას გაუდგა. ვლადივასტოკს გარშემო, რამდენისამე ვერსზე, მრავალი კონძული არტყია. წყნარ ანუ დიდ ოკეანეს ტალღებმა რუსეთის საზღვარს მოგვაშორა და საერთაშორისო ნიადაგზე გაგვაქანა. მოქალაქის უფლებას მოკლებულნი ნამდვილ კოსმოპოლიტებად შევიქენით და ცისა და წყალს შუა თავისუფალთ გულმა სიამაყით დაგვიწყო ძგერა. წყნარი ოკეანე მართლა რომ წყნარია. მთელი 6—7 დღე ჩიფუმდე*) ისე ვიარეთ, რომ ძრიელი ღელვა მხოლოდ ერთ ალაგას გამოვცადეთ. მიუხედავად ამისა, შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობა მაინც საშიშია. რუსეთ-იაპონიის ომის დროს გაფანტული ნაღმების მსხვერპლად მთელი ხომალდი ხდება. ვლადივოსტოკის მახლობლად ერთმა ასეთმა ნაღმმა ჩვენს გემს სულ 5—6 საჟენის მანძილზე გაუარა. როგორც მკითხველს ეცოდინება, საკმაოა ამ ნაღმის ოდნავი შეხლა, რომ საშინელის ძალით იფეთქოს და მთელი ხომალდი იმსხვერპლოს. ამიტომ თითქმის ყველას ფერი გვეცვალა.

დღე და ღამის შემდეგ უკვე გამოჩნდა კორეის ნაპირები. გაზაფხულის მზეს მწვანით შეემოსა ეს გორაკიანი ქვეყანა და ხმელეთის სილამაზე ზღვის მშვენიერებას ექიშპებოდა. კორეია მდიდარია მცენარეულობით და მთებით, მაგრამ აქაური მთები კავკასიის მთებთან შედარებით უფრო გორაკებია.

უკვე ფუზანში ვიყავით, კორეიის ერთ-ერთ საუკეთესო ზღვის-პირის ქალაქში. ჩვენი გემი ნავთსაყუდელში შესრიალდა და ჩვენ თვალ-წინ ხომალდებით და პატარა ნავებით მოფენილი ზღვის პირი და პატარა ქალაქი გადაიშალა. აქ ჩვენს დროს იდგა კორეის ერთი სამხედრო გემი. ძველი, რაღაც ორიოდე ზარბაზნით იგი ჩინელებისაგან აქვთ ნაყიდი. ომის დროს ეს ხომალდი იაპონელებმა გაიტაცეს და იმით სამარ სურსათს ეზიდებოდნენ.

ვაჭრობა კორეიასთან, ეტყობა, ჯერ სულ პაწიებია. ნავთ-საყუდელში მხოლოდ 3—4 ხომალდი თუ ეყუნტა. ჩვენი გემიც მხოლოდ ნახშირის ასაღებად გაჩერდა. ვაჭრობის სახე და ფაცი-ფუცი ნაკლებად ეტყობოდა ქალაქს. მომავალი კი, უეჭველია, დიდი უნდა ჰქონდეს კორეიას. ჩინეთისა და იაპონიიდან ციმბირში მიმავალი ხომალდები ამ გზას ვერ ასცდებიან. ბუნებითა და ადგილ-მდებარეობითაც კორეია მდიდარია და ადვილი დასამუშავებელი. დღეს კორეიაში გაბატონებული იაპონელიც უეჭველია მალე შეიტანს ამ ქვეყანაში თავის ახალგაზდა სიცოცხლეს და მხნეობას.

მალე ნაპირზე გადავედით და ქალაქის დასათვალიერებლად გავწიეთ. ფუზანი პატარა ქალაქია. მხოლოდ ეხლა იწყებს ცხოვრებას. მეტი ნაწილი უკვე იაპონელებს დაუსახლებიათ. თითქმის მთელი ვაჭრობა ამ პატარა კაცების ხელშია. საუკეთესო მაღაზიები იაპონელებს ეკუთვნით: კორეელის დუქანმაღაზიას იშვიათად შეხვდებით და ისიც ღარიბზე-უღარიბესია. აგერ ძლივს მიიზლაზნება ზარმაცი კორეელი. მთლად თეთრებში გახვეული, ქუჩქიანი და უმეტყველო სახისა, იგი შუა-ტანისაა და მაგრა ჩასხმული. კორეელი დედაკაციც მეტად ულამაზოა. იაპონელი და ჩინელი ქალი კორეელზე გაცილებით შნოიანია. მოგზაურს საშინლად აკვირვებს კორეელ ქალის ერთგვარი უმორცხვობა: ქუჩაში მოურიდებლად ძუძუებ-გამოყრილი დაიარება.

ქალაქში იაპონელებს მშვენიერი ქუჩები დაუკეთებიათ. ამისთანა ქუჩებს რუსეთში იშვიათად შეჰხვდებით. ფუზანსეულის გზასაც ამთავრებენ. მეტი აღარაფერია საინტერესო შიგ ქალაქში. რიკშაზე დავსხედით და რკინის გზის სადგურისკენ გავწიეთ. რიკშა პატარა და მსუბუქ ორთვლიან ეტლს წარმოადგენს. შიგ ერთი კაცი ძლივს მოთავსდება. პატარა ხელნებს შუა იაპონელი დგას და მიგარბენინებს. აბაზად თითქმის მთელ ვერსს გაგატარებს. პირველად საშინლათ გეხამუშებათ, რომ ადამიანი პირუტყვის მაგიერობას გიწევთ, მაგრამ შემდეგ ეჩვევით. მოგეხსენებათ, რომ კაცის ბუნება ბევრს რამეს ეჩვევა და ნამეტნავად ცუდს. ოთხი სტუდენტი მივემგზავრებოდით ჩინეთში. ჩვენის გემით რუსეთიდან რამდენიმე მანდილოსანიც მიემგზავრებოდა იაპონიაში წყლებზე. გვინდოდა გვეცადნა თუ რა ძნელია რიკშის ტარება. მანდილოსნები რიკშებში ჩავსხით და ჩვენ შიგ შევებით. რუსის ქალების სისრულემ თუ შეუჩვევლობამ მალე მუხლი მოგვკვეთა და ფერდმაც ხშირი ცემა დაგვიწყო. რიკშის ტარება არც ისე ადვილი ყოფილა. პატარა იაპონელი ჩვენზე მაგარი გამოდგა.

იაპონურ რკინის გზის სადგური თითქმის არაფრით განირჩევა ევროპიულისაგან. გზა ერთლიანდაგიანია. ვაგონების მოწყობილებაც უფრო რუსულს წააგავს. შემდეგში იაპონიაში ერთ საკვირველ იაპონელების ჩვეულებას წავაწყდი. რკინის გზით მოგზაურობის დროს მამაკაცი თუ დედაკაცი მოურიდებლად იცვლის ვაგონში ტანისამოსს და თეთრეულს მთელის მგზავრების წინაშე.

სადგური მალე დავათვალიერეთ. ცნობის-მოყვარეობა დავიკმაყოფილეთ და ქალაქში დავბრუნდით. ქალაქის მახლობლად ერთი ძველი უბრალო ციხე მოსჩანს. ეტყობა, კორეია ღარიბია ისტორიულ ნაშთებით.

ფუზანმა თავი მოგვაწყინა და ჩვენი გემიც დაძვრას აპირებდა. ნავსაკისაკენ გავსწიეთ. გაშლილ ოკეანეში გავედით და მანძილმა მთლათ შთანთქა ჩვენ თვალთაგან კორეის ნაპირები.

შემდეგ, პეკინში ყოფნის დროს, ინგლისურ გაზეთებში ამოვიკითხე, რომ იაპონიის მთავრობამ კორეის მოხუცი მეფე ტახტიდან გადააყენა და იმის მაგიერ მისი შვილი დასვა. ახალგაზდა მეფეს ჭკუა შეშლილს ამბობენ, ამიტომ იაპონიის მთავრობას მთლად ხელში ეყოლება. მიზეზად უბრალო რამ გახდა: იაპონელებს არ მოეწონათ, რომ კორეიის მეფემ მათი და დაუკითხავად ჰააგის კონფერენციაზე თავისი წარმომადგენელნი გაჰგზავნა. საკვირველი არაფერია იაპონელების ასეთ საქციელში. ომის შემდეგ ისინი კორეიაში ეკონომიურად და პოლიტიკურად გაბატონდნენ, მას შემდეგ კორეის თვითარსებობა მხოლოდ თვალთ-მაქცობაა. ყველა საქმეს კორეიაში იაპონიის წარმომადგენელი მარკიზი იტო განაგებდა და ეხლაც განაგებს. კორეის მოხუცი მეფე მხოლოდ პატივცემული ტყვე იყო იმის ხელში. იაპონელების დაუკითხავად მეფეს არც ევროპიელთა წარმომადგენლების მიღება შეეძლო და არც რაიმე საქმის გაკეთება. მეფის სასახლეს იაპონიის ჯარი დარაჯობდა, ვითომ მტრებისაგან დასაცველად... ყოველნაირად შევიწროებულმა მეფემ ჰააგის კონფერენციას მიმართა; რათა ევროპის სახელმწიფოებს იაპონიისთვის მოეგონებინათ დაპირება, რომლითაც იგი კორეის შინაურ საქმეებს არ უნდა შეჰხებოდა. მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკას როდის უხელმძღვანელნია სიმართლით და გულ-შემატკივრობით, რომ ახლა ეხელმძღვანელა! კონფერენციამ არც კი მოისმინა კორეიის საჩივარი, ხოლო რუსეთის წარმომადგენელმა უბრალო ნახვაზედაც უარი შეუთვალა. ეტყობა, ფაფით შე-

*) აღმოსავლეთ ენების ინსტიტუტი ქალაქ ვლადივოსტოკში.

*) ჩინეთის ზღვის პირის ქალაქია, შანდუნის ნახევარ-კუნძულზე.

მოდგენა, რომელიც ძმ. ნიკიტინების ცირკში იყო დანიშნული, გადაიდო. ამ დღისათვის აღებული ბილეთი გამოდგება შემდეგი წარმოდგენისათვის, რომელიც გაიმართება ამავე ნიკიტინების ცირკში. დღე წარმოდგენისა გამოცხადებული იქნება აფიშებით. გამგე მ. ზოზიევი.

✦ მესამე რაიონის წვრილ-ვაჭართა უბნის კომიტეტის წევრთა არჩევა. 10 ოქტომბერს მესამე რაიონ.ს წვრილ-ვაჭართა კრებამ უბნის კომიტეტის წევრებად აირჩია: ოთაროვი ალექსი სერგეის ძე, ტონაკონოვი ალაბეგა ტონაკანის ძე, ხოსიტაშვილი ივანე დავითის ძე, მირიანაშვილი რაჟდენ მიხეილის ძე, ელისაშვილი გიორგი მიხეილის ძე, კარამანოვი მიყასა პოლოსის ძე და კობახიძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე, ამათ ნაცვლებად არჩეულ არიან: ჯანყარაშვილი ვასილი დიმიტრის ძე, გრიქოლოვი მელიქ კარაპეტას ძე, ხომხიევი არშაკ იაგორის ძე, მაკაროვი ქიტესა გრიგოლის ძე და ხეჩიკოვი.

✦ 11 ოქტომბერს ღამე ამაღლების ქუჩაზე, კოჯორის გზა-ტკეცილთან, უცნობმა შეიარაღებულმა კაცმა ბებუთით დასჭრა სიღნაღელი მოქალაქე წყალობა ყაზაროვი. ყაზაროვი მთვრალი ყოფილა და არ იცის, ვინ დასჭრა იგი.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ქალაქის საბჭომ 8 ოქტომბრის სხდომაზე შეამცირა ერთის კაპეიკით ხორცის ნიხრი. აქამდის მოყვანილ საქონლის პირველ ხარისხის ხორცი იყიდებოდა 12 კაპეიკად, ხოლო ადგილობრივისა 10 კაპეიკად. ამას იქით, თუ ვინმემ დაუჯერა საბჭოს გადაწყვეტილებას, ხორცი უნდა გაიყიდოს 11—12 კაპეიკად. ყასპები მეტად უკმაყოფილონი დარჩენილან საბჭოს გადაწყვეტილებით და, ეჭვი არ არის, ნიხრი ქაღალდზე იქნება აღნიშნული, ხოლო ნამდვილად ძველი თვითნებობა იმოქმედებს.

✦ ქალაქის საბჭო უკანასკნელ სხდომაზე, იმ აფთიაქის მოსწავლეთ, რომელნიც, თანახმად გუბერნიის ექიმის ცირკულიარისა, სამსახურს თავს ანებებენ, უარი უთქვათ სამი თვის ჯამაგირის მიცემაზე მიუხედავად იმისა, რომ ექიმ ნაზაროვმა არა ერთი და ორი საბუთი მოიყვანა შუამდგომლობის შესაწყნარებლად. შუამდგომლობის შეწყნარების მომხრე აღმოჩნდა 13 ხმოსანი, ხოლო წინააღმდეგი—17. ასეთი გადაწყვეტილება საბჭოსა არავის გააკვირვებდა, რადგან უკანასკნელ ხანებში საბჭო მოსამსახურეთა თხოვნებს თითქო დემონსტრატიულად უარჰყოფს. საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაში ხმოსნებს თურმე სულ სხვა მოსაზრება ამოქმედებდა. მთხოვნელებს, ე. ი. აფთიაქის მოსწავლეთ, გარდა ამისა, რომ საბჭოსათვის მიუმართავთ დახმარებისათვის, სხვა წყაროც აღმოუჩენიათ რუსეთში წასასვლელად. მათ წინანდება მიუციათ იმ პირთათვის, რომელთაც აფთიაქის მოსწავლეობა სწადიათ თურმე, რომ ადგილს დაგიცლით, თუ რუსეთში წასასვლელად ვექილით ფულს გვასესხებთო. უადგილოთა რიცხვი იმდენია ამ ჟამად, რომ აღმოჩენილან ისეთნი, რომელთაც აფთიაქის მოსწავლის ადგილი **უყიდნიათ** და თავიანთ წინამოადგილეთათვის მიუციათ ორას-ორასი მანეთი და სამაგიეროდ ვექსილები მიუღიათ. ეს გარემოება ცოდნია ზოგიერთ ხმოსანს და ამის გამო უარი უთქვამთ აფთიაქის მოსწავლეთათვის, ექიმ ნაზაროვს, თავმჯდომარეს საფთიაქო კომისიისას, ეს ამბავი არა სცოდნია.

საქმის ნამდვილ გარემოების გაგებას იმდენად გაუგულისებია ბ-ნი ნაზაროვი, რომ თურმე აზრადა აქვს თავი დაანებოს საფთიაქო კომისიას. ჩვენ არ ვიცით ვინაობა იმ ვიეპატონებისა, რომელთაც სავაჭრო საგნად გაჰხადეს თავიანთი ადგილები ქალაქის აფთიაქში. არ გაგვიკვირდება, თუ ისინი აღმოჩნდებიან ახალის ჯურის „სოციალისტები“. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ მათ განუცხადებიათ, ჩვენს მაგივრად ქალაქის აფთიაქში ორგანიზაციის მიერ ნაჩვენები კაცები ჩავაყენეთო.

✦ ქიათურის სამოქალაქო სასწავლებლის სამი მასწავლებელი, რომელნიც წარსულ გაზაფხულზე სამსახურიდან გადააყენეს, როგორც გავიგეთ, საბოლოოდ გადაუყენებიათ სამსახურიდან. ეხლა ისინი მრეწველთა საბჭოს სთხოვენ, ექვსი თვის განმავლობაში ჯამაგირს ნუ მოგვისპობთო.

✦ გენერალ იაზიკოვისათვის უცნობებია ნამესტნიკის კანცელარიას, რომ ნამესტნიკი შუამდგომლობს მას გაძლიერებული პენსია მიეცესო. ამნაირად მალე მოსალოდნელია იაზიკოვის სამსახურიდან გადადგომა.

✦ კ. დ. ბაქრაძემ თხოვნით მიმართა გუბერნატორს, რომ მას ნება მიეცეს ქუთაისში გამოსცეს ქართულ ენაზე ყოველ კვირეული გაზეთი, სახელად „ფარი“.

✦ ქალაქ-ს სათეატრო კომისია, გარეშე პირთა დახმარებით, დიდ მზადებაშია 27 ოქტომბრისათვის, როდესაც გამართავს სალიტერატურო საღამოს ილია ჭავჭავაძის სახსოვრად განსვენებულ პოეტის ფონდის გასაძლიერებლად.

✦ ამ ჟამად ქუთაისშია ინგლისურ გაზეთ „დეილი ტელეგრაფი“-ს კორესპონდენტი, დილონი, რომელსაც აზრადა აქვს დაიაროს დასავლეთი საქართველო.

✦ ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწე ქელბაქიანი ოზურგეთის მაზრის უფროსად დაინიშნა. ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწე ტატიანჩენკო და რაჭის მაზრის უფროსის თანაშემწე თოფურიძე ერთი-მეორის ადგილზე გადაიყვანეს.

✦ 9 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ძარშლის ინიციატივით და ქალაქის გამგეობის მოწოდებით, ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი განსვენებულ ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. წირვის დაწყებისთანავე ეკლესიაში მოვიდნენ ქართულ გიმნაზიის უფროს კლასის მოწაფეები. ხალხი პანაშვიდს მრავლად დაესწრო. პანაშვიდის დასაწყისს ეპისკოპოსმა ლეონიდმა წარმოსთქვა სიტყვა; ამავე დღეს პანაშვიდები გადაიხადეს ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად კლასიკურ გიმნაზიაში და ქართულ გიმნაზიაში, დაბალ კლასების მასწავლეთა თანადასწრებით.

✦ ქუთაისში არსდება პატარა წრე, რომელსაც აზრად ექნება თვალ-საჩინო დრამატიულ ნაწარმოებთა ბეჭდვა.

✦ 28 ოქტომბერს მოხდება ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა კრება, რომელიც განიხილავს დებულებას სტიპენდიების შესახებ.

## პრესსა

კაცი რომ ჭკუას ძალას დაატანს, გაგიჟდებაო, იტყვიან ხოლმე. გაგიჟდებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ „ჩვენი გზა“ რომ თავის ჭკუას ძალას ატანს და ამიტომ ყირამალა აზრების გამოფენას ჰმართავს, ეს ცხადზე უცხადესია.

მოგეხსენებათ, რომ ერთმა ვერაგულმა და ველურმა საქციელმა ქვეყანას დაანახვა, რა საშინელი ნაყოფი შეიძლება მოიტანოს იმ აზრის გაპრინციპებამ, ვითომ მშრომელ ხალხის ინტერესი მოითხოვდეს, რომ ქართველი კაცი განუსჯელად ჰგმობდეს მთელს თავის ეროვნულს არსებობას, აწმყოს ფეხით სთელავდეს და წარსულს სიძულვილის საგნად აქცევდეს. მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ ასეთი უმაგალითო „ინტერნაციონალიზმის“ მესვეურები ქართველი სოციალ-დემოკრატები არიან. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რა თითის კბენა და კბილთა ღრჭენა უნდა განეცადათ ამ უკუღმართ მოძღვრების იდეოლოგებს, როდესაც მთელს საქართველოში ქართველი ხალხის აღელვებული გრძნობა გაისმოდა იმათ მიმართ, ვინც თავისჭველურის მოქმედებით შებღალა და შეურაცხჰყო ქართველ ხალხის ბუნებრივი სიყვარული და თაყვანის ცემა მისდა სასიკეთოდ და საკეთილ-დღეოდ მომქმედ საზოგადო მოღვაწისადმი. ვიდრე საზოგადოებრივ აღშფოთების უმწვერვალესი დრო გადაივლიდა, გახელებული ქართველი სოციალ-დემოკრატები სდუმდნენ და გულში იკლავდნენ თავის მწუხარებას. მაგრამ გავიდა ხანი, საზოგადოებრივი აღშფოთება რამოდენადმე მიწყნარდა და აი, ჩვენი დაკოდილი სოციალ-დემოკრატებიც დაირაზმნენ საიერიშოდ და თავის შერცხვენილ სახელის აღსადგენად.

იერიშები, რა თქმა უნდა, ყოვლის უწინარესს ჩვენზე მოაქვთ. კომპანია ს.-დემოკრატების ძველმა ნაცადმა, საპოლემიკო ქმანდებში ფრიად განსწავლილმა და მოპირდაპირეთა აზრების გადაყირამალავებაში დიდად დახელოვნებულმა ბელადმა ნ. ჟ—იამ დაიწყო. მას მიჰყვნენ სხვები და ერთმანეთზე უარესად ატანენ ჭკუას ძალას, რომ რაც შეიძლება სამარცხვინო სახელები მოგვიძებნონ ს.-ფედერალისტებს და რაც შეიძლება ხშირად გაჰკრან ხელი გაზეთს „ისარში“ გამოთქმულ აზრებს. რასაკვირველია, მათის მეცადინეობიდან არაფერი არ გამოდის იმის მეტი, რომ თავის ყირამალა აზროვნების ახალ-ახალ ნიმუშებს იძლევიან და თავის კონებრივ გამოფიტულების ახალ-ახალ საბუთებს გვაძლევენ ხელში. აი, მაგალითიც.

ორიოდე დღის წინად ჩვენ ვწერდით, საქართველოში კულტურული მუშაობა შეფერხებულია და ამისი ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ქართველ ხალხის ზომიერი ელემენტები დაფანტულ-დაქსაქსულები არიან, მთლიან ძალას არ წარმოადგენენ, ხოლო პოლიტიკური პირობები კი მხოლოდ ამ ზომიერ ელემენტებს უხსნიან გზას შედარებით თავისუფალ მოქმედებისთვისო. რადგან ჩვენ მოსალოდნელად არ მიგვაჩნია, ახლო მომავალში ქართველი ხალხის ზომიერმა ელემენტებმა თავი მოიკრიბონ და კულტურულ მუშაობის გაძღოლა იკისრონ, ამიტომ ვამბობდით ჩვენში სოციალისტები უნდა ჩაუდგნენ სათავეში ამ საქმესაცო. „ჩვენი გზა“ გაწიწმატებული გაჰკივის, შეუფერებელი დასკვნა გამოგყავთ, საჭირო ეგ კი არა, ის არის, რომ „ხელთ ვიგდოთ საჭირო პოლიტიკური პირობებიო“. „ჩვენ გზას“ ჰგონია, რომ შეუწყნარებელ ცოდვაში დაგვიჭირა. საბრალო გაზეთი, საბრალო პუბლიცისტები! მათ მთელი სამი წლის მწარე, სასტიკმა გამოცდილებამაც კი ვერ აგრძნობინა, რომ „პოლიტიკურ პირობების ხელში ჩასაგდებად“ სიტყვიერი რადიკალიზმი და მაგარი ფრაზების სროლა კი არა, ცოტა სხვა რამ არის საჭირო. მერე, ვინ გეუბნებათ, სწორუპოვარნო საპოლემიკო ფალავნებო, რომ „პოლიტიკურ პირობების ხელში ჩაგდება“ საჭირო არაა. დიაღ, საჭიროა, მაგრამ უბრალო რამ გარემოება გავიწყდებათ, სახელდობრ ის, რომ ჩვენ წერილში ლაპარაკი მხოლოდ ისეთ კულტურულ მუშაობაზე იყო, რომლის ასრულება ეხლანდელ პოლიტიკურს პირობებშიაც შეიძლება და რომელიც მართლა სრულდება კიდეც მთელს რუსეთში ყველგან, გარდა საქართველოსი.

„ჩვენი გზა“ გვიკიჟინებს, ზომიერი ელემენტების უჩინარობა ქართველ ხალხში არ არის მიზეზი კულტურული მუშაობის სისუსტისა, რადგან ელემენტები კი არა ჰქმნიან კულტურას, პირიქით კულტურა ჰქმნის ელემენტებსო. გამოცანას მოგახსენებთ და გამოიცანით, სწორუპოვარნო პუბლიცისტნო! როგორ გგონიათ, რა უფრო უწინ იყო და რა რისაგან წარმოსდგა, ქათამი კვერცხისაგან თუ კვერცხი ქათამისაგან? ჯერ ეს გამოცანა აგვიხსენით და მაშინ გეტყვით, რატომ ვამბობთ, რომ ზომიერ ელემენტების დაქსაქსულებაა მიზეზი კულტურულ მუშაობის სისუსტისა და არა წინააღმდეგ.

„ჩვენი გზის“ ყველა უთავბოლობას ვინ გაუწევს ანგარიშს, მაგრამ ერთი რამ ყირამალობა კი მაინც [illegible] ვნიშნოთ. „ჩვენი გზის“ [illegible] ნებული პუბლიცისტები [illegible] კი კულტურული მუშაობა ჯერ არ გვიცალკევებია არც სოციალისტური, არც რევოლიუციონური მუშაობისაგან. რა გვარიც უნდა იყოს საზოგადო სამუშევარი, ჩვენ არავის დაუთმობთ და არავის კუთვნილებათ არ გავხდით მას; ყოველგვარ საზოგადოებრივ მუშაობის სფერაში ჩვენ შევიჭრებით, როგორც სოციალისტები და მხოლოდ როგორც ასეთებიო“. დიაღ! სავალალო და სავაგლახოც ის არის, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატების გონებასა და მოქმედებაში ყველაფერი ისე დომხალივით არის ერთმანეთში არეული, რომ მათს მოღვაწეობას სიკეთის წილ ბოროტება მოაქვს. ვერ არჩევენ რა, სად როგორი და რა სახის მოქმედებაა საჭირო, ისინი შეუგნებლად რყვნიან სოციალიზმს ბურჟუაზიულ სენტენციებით (მოიგონეთ, სოციალდემოკრატების დემოკრატიული და არა სოციალისტური ორგანიზაციები) და სოციალიზმის სახელით ცეცხლითა და მახვილით ბრძოლას ჰქადაგებენ იქ, სადაც სოციალიზმს არავითარი ადგილი არ შეიძლება ჰქონდეს, როგორც, მაგალითად, სკოლაში და ან ყველასათვის ძვირფას პოეტის საფლავთან.

## პროვინციის ცხოვრება

**გურია.** 4 სექტემბერს აქედან ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გაჰგზავნეს 30 კაცი, მათ შორის ვარლამ კალანდაძე, ნიკო გულიძე, სევერიან ვადაჭკორია და გ. გაგუა. ყველა ესენი ჩრდილოეთ რუსეთში არიან გადასახლებული.

6 სექტემბერს ბათუმიდან აქ ამოიყვანეს ეტაპი. ეტაპში, სხვათა შორის, იყო გიორგი მამულაიშვილი, რომლის საქმეც ამ ახლო მომავალში გაირჩევა.

მაზრის უფროსის ერმოლოვის მოადგილე, ვარდენ ქელბაქიანი, უკვე მოვიდა, მაგრამ ერმოლოვი ჯერ არ წასულა. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ერმოლოვი დროებით სამსახურიდან გადაუყენებიათ.

5 სექტემბერს ღამე ჩოხატაურისკენ წასულა დილიჟანი, რომელზედაც ოთხი სტრაჟნიკი ყოფილიყო და ფული მიჰქონდათ ჩოხატაურში. როდესაც ისინი ბერეკეულში მისულიყვნენ, ტყიდან ვიღაცას სროლა დაუწყია. მოკლული აღმოჩნდა ორი ინგუში; ერთი ინგუშიც დაჭრილი მსუბუქად, მეორე მძიმედ. დაჭრილია აგრეთვე მეეტლეც ერთი ცხენი და გზად მიმავალი კაცი. ფული ვერ წაუღიათ ამბობენ, მხოლოდ თოფები წაიღესო. 6 სექტემბერს ამ საქმის გამო წავიდნენ მაზრის უფროსი და ყაზახები, მაგრამ ჯერ არავინ დაუჭერიათ. ფული ყოფილა ჯამაგირი სტრაჟნიკებისა.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, მიქიაშვილი აქედან გადაუყვანიათ.

7 სექტემბერს თათრის ბაზარში დააპატიმრეს 2 კაცი. მიზეზი არ იციან. ამას წინად დაპატიმრებული ნაცვალაძე გადაუსახლებიათ. **თბილი**

—

**სოფ. მეტეხი** (გორის მაზრა). მკითხველებს ეხსომებათ, რა მოუსავლობა იყო წელს ჩვენსკენ. დიდი წილი ნათესისა დიდმა გვალვამ მოსპო. ხალხი დაღონებულ-დაძმარებულია. ბევრს ერთი ან ორი თვის საზრდო ძლივს მოეპოვება. ისეთი, რომელთაც წლამდის გაჰყვება საზრდო, მხოლოდ ორიოდეა. მახლობლად არა-ნაირი გამოსარჩენი ადგილი არ მოიპოვება. შორს წასვლას ღარიბ-ღატაკ კაცს ხელს არ უწყობს ჩაცმა-დახურვა. მარილის მეტი იშვიათად გააჩნია რამე აქაურ გლეხს. ჩვენ, ყველა გაჭირვებული მცხოვრებნი, მივმართავთ იმ კეთილ მომქმედ დაწესებულებას, რომელიც ჩვენებრ დამშეულ ხალხს უწევს შემწეობას, ყურადღება მოგვაქციოს ჩვენც და აგვაცდინოს მომავალი დიდი განსაცდელი. საჭიროა ადგილობრივ სახლების დასინჯვა, ვის რამდენი ხნის საზრდო აღმოაჩნდება. იმედია, ამ ჩვენს თხოვნას უყურადღებოდ არ დასტოვებენ და დროინად მოგვხედავენ. **აქაური.**

—

**ანაკლია.** ამ დღეებში მუხურის საზოგადოებაში ბათუმის ვაჭარს სიმონ კეჭეჟმაძეს დაეწვა სახერხი ქარხანა თავის მოწყობილებით. დაიწვა დამზადებული მასალაც. ზარალი ოთხას თუმანს აღემატება. ეს მეორედ მიეცა ზარალი ქარხანას. წინად ენგური

---

შინებული ბიუროკრატია დოს უბერავს და დღეს იაპონიის წყენას ყოველგვარად ერიდება.

იაპონია ევროპიულ რეფორმებს დაადგა კორეიაში, მაგრამ ამასთან, როგორც ეს სახელმწიფოთა ისტორიაში ხშირია, კორეის ეროვნება შეავიწროვა, ყველგან თითქმის თავისიანები დააყენა და სცდილობს მთელს მხარეს იაპონური ელფერი მისცეს. მისი დღევანდელი პოლიტიკა კორეიაში დიდად მოგვაგონებს რუსეთის პოლიტიკას განაპირა ქვეყნებში. მაგრამ ამ შედარებასთან, რასაკვირველია, განსხვავებაც დიდია. იაპონიის ბატონობა კორეიაში გაცილებით უფრო პროგრესიულია, ვიდრე რუსეთის ბატონობა განაპირა ქვეყნებში. იაპონიით უკმაყოფილოა უფრო მეფე და კორეიის ძველი მებატონე კლასი. ეს ასეც უნდა იყოს. ორივეს ხელიდან ეცლება ძველებური პრივილეგია და აბა რად მოეწონებათ! როცა იმათ ხელში იყო ქვეყნის სვე-ბედი, ხალხისთვის არაფერი იზრუნეს და ეხლა კი სწუხებიან! გარემოება რომ ხელს უწყობდეს, კორეიის ბატონი ამ ქვეყანას ძველებურათ დასტოვებდა. იაპონიის ბატონობა თვით კორეიის ხალხისთვის ბოროტთან ერთად სასარგებლო მაინც არის: იგი განავითარებს აღებ-მიცემობას, შეჰქმნის კულტურას და ხალხს ცხოვრების სახსარს გაუადვილებს.

მეოთხე დღეს უკვე იაპონიის ნაპირებს მივუახლოვდით. ვლადივოსტოკიდან იაპონიის უახლოესს ნაპირამდე მხოლოდ 26 საათის სავალია. ჩვენ გზა გაგვიგრძელა კორეიის ქალაქში შესვლამ და ნაგასაკმა, რომელიც ვლადივოსტოკზე უფრო მოშორებითაა. ნაგასაკი იაპონიის ერთი ულამაზესი ქალაქია. რუსეთიდან საზაფხულოდ აქეთ ბევრი მოემგზავრება კოხტა იაპონიის სანახავად და იმის წმინდა ჰაერით დასატკბობად. მით უფრო ადვილია და გასაგები ეს საავარაკო მოგზაურობა, რომ იაპონიაში ცხოვრება გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე სხვაგან სადმე შორეულ აღმოსავლეთში. მოაგარაკეთა მომეტებული ნაწილი უფრო ნაგასაკს მიემგზავრება, რადგან მის გარშემო მდიდარი აბანოს წყლებია.

შორიდანვე გამოჩნდა იაპონიის პატარა მთები, მწვანე ხავერდით დაფენილი. ყველას გულის-ცემამ მოგვიმატა, გვენატრებოდა ჩქარა ნაპირზე გადასვლა და მთელი ქალაქის შემოვლა. აგერ უკვე შევიდა ჩვენი გემი ნაგასაკის ნავთსაყუდელში. შესავლის აქეთ-იქით ზღვაში პატარ-პატარა კუნძულები აღმართულა. ზოგიერთზე მშვენიერი კოხტა საავარაკო სახლები მოსჩანს. „რა კარგია აი, იქ ცხოვრება, აი იქ“! თითის გაშვერით გვიძახით ლამაზ ბუნებას დახარბებული რუსეთიდან მოსულები. „კავკასიას გაგონებთ განა“? მეკითხებიან ნაცნობები. ძალიან მეთქი,—ვუპასუხებ და თან გულში ვამაყობ, რომ დიდებულ ბუნების ხამი არა ვარ. ქალაქი ხევ-ხევებათაა დაყოფილი. ხეხილს შორის ძლივს მოსჩანს მჭიდროდ დასახლებული სახლები.

ნავთ-საყუდელი სავსეა გემებით. პატარა ნავები ხომ ბუზებივით ირევიან. აგერ ჩვენსკენაც გამოემართნენ, ნაპირზე უნდათ გადაგვიყვანონ. გემმა ძლივს მოასწრო გაჩერება და კიბის ჩაშვება, რომ ზედ იაპონელები ჭინჭველებივით ამოცვივდნენ ზურგზე პატარ-პატარა ხის ყუთებით. გემის ცარიელი ადგილი მთლად დაიჭირეს, ზურგიდან ყუთები მოიხსნეს და თვალის დახამხამებაზე ბაზარი გამართეს. მე ამის მსგავსი არსად მინახავს! გზად მიმავალ გემზე და ასეთი უეცარი ვაჭრობა! ვაჭრობდნენ მკვირცხლად და როგორც ჩვენებური ებრაელი: თუ ორ მანეთს დააფასებდნენ, მაგალ., ჩიჩინს შემდეგ ათ შაურად ჰყიდდნენ. იაპონელს საშინლად უყვარს და ეხერხება მიბაძვა, ნამეტნავად სავაჭრო საქონელში. უბრალო დაიაფფასიან! აქინელს ხშირად რიგიან ევროპიულს სახეს და გარეგნობას აძლევს და მყიდველი ადვილად შეჰყავს შეცდომაში. საშინლად გაგვაკვირვა, როდესაც გემზე 12 ცალ ჩაის კოვზს რუსულის ვერცხლის „პრობით“ ხუთ-ექვს შაურად ჰყიდდნენ.

როგორც ეტყობა, იაპონელი მშვენიერი წვრილი მოვაჭრეა. ცარიელს ადგილს ჰიატსაც კი არ დასტოვებს, რომ შიგ თავისი საქონელი არ შეიტანოს. იაპონურ ნაწარმოებს შორის უდიდესი ადგილი წვრიმალ ნივთებს უჭირავს. ნაგასაკში პატარა გამოფენა დავათვალიერეთ და სერიოზული ვერა ვნახეთ-რა. რასაკვირველია, იმათ ვაჭრობა-ნაწარმოებს სერიოზული სახეც აქვს: უამისოდ იაპონია ისეთ კონკურენციას ვერ გაუწევდა ევროპას, როგორც ეს დღეს შორეულ აღმოსავლეთშია. მაგრამ ჯერეთ უფრორე პატარა და იაფ ნივთების შექმნა ეხერხებათ და განუვითარებიათ კიდეც. სათამაშო ნივთები და სხვა ამგვარი წვრიმალი ყველაზე მეტათაა იაპონიაში განვითარებული. საერთოდ იაპონელის ცხოვრება თითქოს რაღაც ბავშურს წააგავს. იქნება მათი ტანის სიპატარავე ჰქმნის ასეთ შთაბეჭდილებას. უნდა ნახოთ, მაგ. მათი სახლები: პატარეები, კოხტები და მსუბუქნი, საშინელის თხელის კედლებით, თითქოს ბავშვებისთვის აუშენებიათო. ნაგასაკში რომ ოთახის კიბეზე ავირბენდი ხოლმე, მე თვით პატარა კაცი ვარ, მაგრამ თითქმის მთელი სახლი ინძრეოდა. ახლა ნახეთ მათი სმა-ჭამა! პატარ-პატარა თიხის ჯამები, ცოტა დიდი ვიდრე ჩვენი ბავშვები ხმარობენ სათამაშოდ. ერთზე მწვანილის პატარ-პატარა ნაჭრები, მეორეზე ხორცისა, მესამეზე ბრინჯი (პურს არა ხმარობენ. იმის მაგიერ მარტო წყალში მოხარშულ ბრინჯს ატანენ ყველა საჭმელს) და სხვა და სხვა.

**გ. ლიაძე.**

(შემდეგი იქნება).

გადმოვარდა და ქარხანა და მასალა წაიღო. ამიტომ კეშელაძემ ქარხნის აღდგენაზე უარი განაცხადა. ეს რომ შეიტყეს განარჯია-მუხურის (დუგდიდის მაზრაა) მცხოვრებლებმა, მოციქული გაუგზავნეს, ქარხნის აღდგენა სთხოვეს და თან თავისს მხრივ შემწეობას დაჰპირდნენ და კიდევაც აასრულეს. ოც-და-შვიდ ენკენისთვეს, როცა შემთხვევით გავიარე ქარხნის მახლობლად, ორასი უღელი ხარი თავის ურმით მუქთად მუშაობდა. გამოჰქონდათ ტყიდან დამზადებული მასალა.

ნ. რ.

## მუშების ცხოვრება

**ტფ. სარდაფების და ტრაქტირების მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი.** ტფ. სარდაფების და ტრაქტირების მოსამსახურეთ შემდეგი მოთხოვნილებები წარუდგენიათ პატრონებისათვის: „ტფილისის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის საბჭო მოითხოვს ზემოხსენებულ დაწესებულების ალებისაგან ქვემოდ აღნიშნულ მუხლების სისრულეში მოყვანას; მოითხოვს ვაჭარ.ია ბიუროსაგან, რათა მან იშუამდგომლოს აღნიშნულ დაწესებულებათა ალებთან, დააჩქარონ დაკმაყოფილება მოთხოვნილებისა მომავალ შაფათამდე. ამ ვადის შემდეგ, თუ პასუხს ვერ მივიღებთ, ჩვენ გამოვაცხადებთ გაფიცვას. აი მოთხოვნილებები:

1. რვა საათის სამუშაო დღე;
2. მოისპოს მუშაობა როგორც კვირაობით, ისე დანარჩენ საუფლო უქმეებში. შენიშვნა: შობა, ახალი წელიწადი, ნათლიღება და აღდგომის პირველ და მეორე დღეს სრული თავისუფლება.
3. პირველი მაისი;
4. შემათანხმებელი კომისია ხაზეინების მხრით;
5. წელიწადში ერთხელ მოემატოს %, როგორც მიღებულია, 1 მკათათვიდან;
6. მოისპოს ფორმალურად მუშის ამხანაგად შეყვანა.
7. ჰიგიენურად მორთული ბინა ან 2 მან. 50 კ. სულზე თვეში;
8. სამუშაოდ თითო მუშას მიეცეს წელიწადში: ა) ორი ხალათი, ბ) ორი შალვარი, გ) ჩუსტები რამდენიც მოუნდება წლის განმავლობაში;
9. მიეცეს გასაკრეჭის და სარეცხის ფული".

## თეატრი და ხელოვნება

—:—

**ქუთაისი.** ბლატონის პიესა „ხალხი" ახალი სკოლის პიესაა. იმის წესიერად აღსრულებას ესაჭიროება, გარდა როლის ცოდნისა, შეთანხმება არტისტებს შორის წარმოდგენის დროს. ამიტომ ქართულ დასისათვის ამ გვარი პიესები ძნელი წარმოსადგენია, თუ, მეტადრე, მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ქართულ დასს პიესის მოსამზადებლად სულ დიდი ერთი კვირა დრო ეძლევა. რომ ვთქვათ, „ხალხის" წარმოდგენამ ქუთაისის თეატრში 7 ოქტომბერს სავსებით დაგვაკმაყოფილათ, გაზვიადებული იქნება, მაგრამ დასს მაინც პიესა იმდენად შეესწავლა და მოემზადებინა, რომ პიესა მწყობრად ჩაატარა. ქ-ნ დავითიშვილისამ, დ. ივანიძემ, ქიქარკვილისამ და ჯავახიშვილისამ და ბ-ნთ ბალანჩივაძემ, ი. ზარდალიშვილმა და შალიკაშვილმა როლები იცოდნენ, და ანსამბლს ხელს უწყობდნენ, ამიტომ ამათზე დაპარაკი მეტად მიგვაჩნია. უფრო დიდ ყურადღებას იქცევდა ახალ-გაზდა მსახიობი შოთაძე, რომლისთვისაც მიეცათ პასუხ-საგები როლი ტინონისა. შოთაძე სულ ახალგაზდა მსახიობია და ჯერ თავის emploi არც კი გამოურკვევია. უთუოდ იმის მოქმედებას გამოუცდელობის ბეჭედი აზის, მაგრამ ეჭვი არ არის იგი ქართულ სცენისთვის კარგი მუშაკი დადგება, თუ შრომასა და სწავლას არ უღალატებს. კარეგნობა, დიქცია ხელს უწყობს, რომ თვალ საჩინო ადგილი დაიჭიროს ქართულ სცენაზე, საჭიროა მხოლოდ რეჟისორმა მეტი ყურადღება მიაქციოს და შესაფერ როლებშიაც გამოიყვანოს. ტინონის როლი შოთაძის შესაფერი არ არის. ჩვენის აზრით, უმჯობესი იქნება პრემიერის როლში სცადონ იგი. საამოდ ტრუპას ვ. თუთბერიძის მეტი სხვა არავინა ჰყავს და მით უფრო სასურველია გამოსცადონ ახალგაზდა მსახიობი.

დასასრულ, ერთი შენიშვნა უნდა მივცეთ რეჟისორს. არტისტების უმრავლესობას პარიკები ისე აქვთ გაკეთებული, რომ უკან მიცქნაფული არ არის თავზე და ამის გამო ქერა თმის ქვეშ ხშირად შავიც მოსჩანს ხოლმე. შთაბეჭდილება ამის გამო უსიამოვნოა.

ხალხი 7 ოქტომბრის წარმოდგენას ცოტა დაესწრო. მიზეზი ამისა ერთის მხრით იყო აღმოსავლეთის საშინელი ქარი, რომლის გამო სახლიდან კარში გამოსვლას ვერავინ ბედავდა, მეორეს მხრით—საქველმოქმედო საღამო.

—

**ოპერა.** რუსულ საოპერო მუსიკაში ბოროდინის „კნიაზ იგორი" ერთი დიდებული ნაწარმოებთაგანია. მასში თილისმურის ძალით გადახლართულია ერთმანეთზე ყოველივე ის, რაც ატკბობს სმენას და აკმაყოფილებს გემოვნებას განვითარებულ სმენელისას. უწყებულს სიტყვას, აზრს მუსიკის შესაფერი დახასიათება და გამოხატულება ერთვის და მით აძლიერებს შთაბეჭდილებას. წმინდა რუსულმა მელოდიამ, რომლის სათავე ხალხის შემოქმედებაში იწყება, სრული და ჰანგოვანი გამოთქმა ჰპოვა ბოროდინის ოპერაში. ამ მხრივ შესანიშნავია იაროსლავნას გოდება უკანასკნელ მოქმედებაში, იმავე მოქმედებაში, ხოროს საგალობელი, რომელშიაც ხალხის ბედშავობა, წუხილი თვალნათლივადაა აღბეჭდილი, იგორის ჰანგი მესამე მოქმედებისა და მრავალი სხვა სასიმღერო ნაწილები, რომელიც მთელს ოპერაში უხვად არის გაფანტული.

სიმდიდრე და სიმშვენე ამ შესანიშნავ ნაწარმოებისა რუსულის მელოდიით როდი განისაზღვრება. ბოროდინის მადლიანი ნიჭი იქამდისაც მისწვდა, რომ აღმოსავლეთის ხალხთა სიმღერაგალობას აართვა ნამდვილი იერი და მშვენიერი ჰანგები შექმნა. მეოთხე მოქმედების (კონჩაკის ბანაკში) მუსიკა განუწყვეტელი პოეზიაა, რომლის სულსა და გულს შეადგენს მრავალფეროვანი, სინარნარით და ცხოველმყოფელობით აღსავსე მელოდია აღმოსავლეთის ერთა. ისმენ საკრავთა შეერთებულს ხმას, ყურს უგდებ ხოროსა და ცალკე მომღერალთა ჰანგებს და თვალწინ გეხატება გავარვარებული ბორბალი მზისა, თვალ-უწვდენი მინდვრები, სიუხვე ბუნების კეკლუცობისა და სიყვარულის ალით აღგზნებული ტურფა არაბა, რომელიც კრძალვით და მალვით მოტრფიალი აკენ მიეშურება. შესანიშნავია განსაკუთრებით საცეკვაო, ხმები ორკესტრისა, ვნების ცეცხლივით მწვავი, თანაც სათუთი, ნაზი, ვით კდემამოსილი ქალწული.

ამით როდი თავდება ღირსებანი ამ ოპერისა. მასში კვლავ მოიპოვება ძლიერი ელემენტი—ელემენტი კომიზმისა, რომელიც ერთი საუკეთესო ნაწილთაგანია ბოროდინის შემოქმედებისა. სკულა და ეროშკა (მეფანდურეები) ხორცშესხმული სიცილია, იუმორი, რომელიც თავისებურობის იერით ჰმოსავს ამ დიდებულ სურათს ფარსისას.

ძნელია „იგორის" კარგად აღსრულება და საოპერო ამხანაგობამ ეს სიძნელე როდი დასძლია.

ბ-ნს ენგელ-კრონს იგორის სულთაძვრის გამოსახატად აკლდა ხმის მოქნილობა, სხვა და სხვა იერი გრძნობათა მეტყველებისა. თუმცა ხმა საკმაოდ ძლიერი აქვ, მაგრამ სიმღერა მისი ერთკილოვანია და ხანგრძლივ ჰანგების თქმის დროს მსმენელი იღლება ხოლმე.

მშვენიერია ბ-ნი სიბირიაკოვი ვლადიმირ გალიცკის როლში... მხოლოდ ხმით; თამაშობაში სიმძიმე ეტყობოდა; დიქცია მარტივი არა ჰქონდა, ამიტომ დეკლამაციური ადგილები მისი პარტიისა მსმენელისათვის გაუგებარი დარჩა.

ძალიან კარგი იყო ქ-ნი ოკუნევა იორასლავნას როლში როგორც სიმღერით, ისე თამაშობით!

ქ-ნი კორსაკოვა კონჩაკის ქალის როლში და ბ-ნნი მახინი (ვლადიმირ იგორევიჩ) და პრავდინი (კონჩაკი) საკმაოდ მოისუსტებდნენ. მათი საერთო ნაკლულევანება ის იყო, რომ ყალბ კილოზე მღეროდნენ და კერძოდ კი ქ-ნს კორსაკოვას და ბ-ნს პრავდინს ხმები არ უვარგათ. ქ-ნი კორსაკოვა უძლური იყო გადმოეცა სრულის ლირიზმით და ვნებით აღსავსე კილო კონჩაკის ქალის პარტიისა და ბ-ნ პრავდინს ახლოც კი არ მიჰკარებია რაინდული ახოვნება კონჩაკისა.

ურიგონი არ იყვნენ მეფანდურეების როლში ბ-ნნი აკიმოვი (სკულა) და პლატონოვი (ეროშკა). უკანასკნელმა ნაკლებად იცოდა თვისი როლი და ლოტბარისათვის თვალი ვერ მოეშორებინა.

ხორო, განსაკუთრებით ქალებისა, კარგად მღეროდა. მშვენიერი იყო იგი მესამე სურათში. ვლადიმირ გალიცკის ნადიმის სურათი სუსტათ იყო წარმოდგენილი. ორკესტრმა ბ-ნ ვოლინკინის მეთაურობით, მშვენივრად ასრულა თვისი საქმე, გან აკუთრებით საცეკვაო ჰანგები.

წარმოდგენას ხალხი ცოტა დაესწრო.

ი.

## წერილი რედაქციის მიმართ

(სამედიატორო სასამართლოს განაჩენი)

„ისარი"-ს მე-214 ნომერში მოთავსებული იყო წერილი ბ-ნ მეფარიძისა, რომელიც ჰკიცხავს საზოგადოდ ტრამვაის კონდუქტორების თავგასულობას და, სხვათა შორის, იწვევს სამედიატორო სამართალში კონდუქტორს № 32. ხსენებულმა კონდუქტორმა ბ-ნ მეფარიძეს მოთხოვნილება სისრულეში—მოიყვანა, გაჰყვა სამედიატორო სამართალში, რომელიც შესდგა 7 ამ ოქტომბერს ორვეს თანადასწრებით. მედიატორეებმა განიხილეს საქმე თავიდან ბოლომდის ერთი მოწმის დაკითხვით და გამოძიების შემდეგ გამოიყვანეს ის დასკვნა, რომ მთელი ამ საქმის მიწერ-მოწერას და უსიამოვნობას მასალად ჰქონია მხოლოდ **გაუგებრობა**, რაზედაც სამედიატორო სასამართლომ ბ-ნ მეფარიძის საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა.

წევრნი სამედიატორო სასამართლოსი: **ი. ფილია, გ. მაჭარაძე, ლ. კოზეშაძე.**

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### რ უ ს ე თ შ ი.

10 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით, გენერალ-ლეიტენანტის ბაბიცინის თავმჯდომარეობით დაინიშნა კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს „იახტა, შტანდარტის" ავარიის საქმე. იგი შეამოწმებს გამომძიების მიერ აღძრულ გარემოებებს და გამოარკვევს, თუ რამდენად დამნაშავენი არიან ამ საქმის გამო პასუხგებაში მიცემული პირები.

**ორიოლი.** მატარებელზე თავ-დასხმა ასე მოხდა: სადგურზე მატარებელში ჩაჯდა შვიდი კაცი. დანიშნულ ალაგას მათ ტორმაზებით გააჩერეს მატარებელი და იქ დახვედრილ ამხანაგებთან ერთად ასტეხეს სროლა. სულ 15 კაცი იყო. ყუმბარა გადააგდეს, რომელმაც დაამტვრია მეორე კლასის ვაგონი. ვაგონს ცეცხლი წაეკიდა. მალცევის მეარტელეებს მატარებლით მიჰქონდათ 60,000 მანეთი. როგორც გამოირკვა, მოკლულია ორი მგზავრი, დაჭრილია ერთი და ორი სტრაჟნიკი, რომელნიც მეარტელეს მისდევდნენ. ფული უკლებლივ არის. ცეცხლი ჩააქრეს. პოლიციამ შეიპყრო ორი დაჭრილი მძარცვავი და ხუთი საეჭვო პირი. გზაზედ იპოვნეს ყუმბარა. ვიცე-გუბერნატორს და მალცევის ქარხნის გამგეს არა დამავებიათ რა. მცარცველებს ცხენოსანი დარაჯები დაადევნეს.

**კიევი.** აპირებენ სახლის დამქირავებელთა კავშირის დაარსებას. კავშირმა ბრძოლა უნდა გამოუცხადოს საცხოვრებელ სახლის სიძვირეს, რომელიც კიევში ერთობ საგრძნობელია.

12 ოქტომბერი.

**ფილიპპოპოლი.** ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს 5 გლეხი, რომელთაც ცხენის ქურდი ცოცხლად მიწაში დამარხეს.

**პოლტავა.** 9 ოქტომბრიდან პოლტავაში ხოლერით ავად არავინ გამხდარა. გუბერნიაში ავად გახდა 2 კაცი კიევიდან მოსული, ერთი მათგანი გარდაიცვალა.

**ომსკი.** ქალაქში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2. გუბერნიაში ავად აღარავინ გამხდარა.

**ეკატერინოსლავი.** ვერხნედნეპროვსკში ავად გახდა 4, მარიუპოლში—4, გარდაიცვალა 1.

**სემიპალატინსკი.** ხელახლა ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2.

**ტომსკი.** ნოვონიკოლაევსკში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3, ტომსკში ავად გახდა 2. ბარნაულში ავად გახდა 1. ჩენსტნოკოვის მაზრაში ავად გახდა 1, კამნაში გარდაიცვალა 4.

**ვლოცლავსკი.** 9 ოქტომბერს თავის სახლში ცოლის თვალ წინ მოჰკლეს ერთი კალატოზი,

**ეკატერინოსლავი.** ხოლერით ავად გახდა 5 კაცი.

**პენზა.** ინსარის მაზრაში 1 ოქტომბრიდან ივად გახდა 17, გარდაიცვალა 9. ნაროვჩატის მაზრაში ხელ ახლა ავად გახდა და გარდაიცვალა 4.

**კიევი.** 9 ოქტომბერს ქალაქში ავად გახდა 34, გარდაიცვალა 18. გუბერნიაში ავად გახდა 30, გარდაიცვალა 17.

**სამარა.** 9 ოქტომბერს გაჩხრიკეს საგუბერნიო საკრებულო, აგრეთვე საგუბერნიო საერობო გამგეობა, დაზღვევისა და გზათა განყოფილებანი საეროზო ორგანიზაციისა. საკრებულოში დააპატიმრეს 5 კაცი, გამგეობაში 2.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოს სხდომაზე 9 ოქტომბერს გაარჩიეს, სხვათა შორის, სასამართლოს დაწესებულებაში მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების საქმე. დაადგინეს, ამის შესახებ კითხვა აღძრან სახ. სათათბიროში. მოიწონეს აგრეთვე ფინანსთა მინისტრის მოხსენება შეღავათის მიცემის შესახებ იმათთვის ვისაც სათავად-აზნაურო ბანკში ფული აქვს შესატანი და 1905—1906 წლებში მოუსავლობამ და არეულობამ დააზარალა.

**მოსკოვი.** კოლომენის მაზრაში ხოლერით ავად გახდა 16 კაცი, იმათგან 8 გარდაიცვალა. მაზრებიდან თხოულობენ ბევრს შრატს ასაცრელად.

**ლოძი.** ევროპიულ პურის საცხობის პატრონებმა ყველამ ლოკაუტი გამოაცხადა. ფურნეები დაკეტილია. მიზეზი ის არის, რომ ნოქრებმა და სხვა მუშებმა სამსახურში შესვლისას თავისს ვინაობის წერილობით დამტკიცებაზე უარი განაცხადეს.

**პოლტავა.** კრემენჩუგის მაზრის ხუტორ სიროტენკაში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეიპყრეს დეზერტირი ანდრია სიროტენკო, რომელიც არე მარეს შიშის ზარსა სცემდა. წინეთ სიროტენკო სამხედრო სასამართლომ გაასამართლა, მაგრამ ის საპყრობილედან გაიპარა.

**ეკატერინოსლავი.** მარიუპოლში შეიპყრეს 4 კაცი. იმათ აბრალებენ, ფოსტის გაძარცვა და მეარტელესი, ბოქაულის და უბნის ზედამხედველის მოკვლა სურდაო.

**სამარა.** ქალაქში ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, გუბერნიაში სენის თავის ჩენიდან გარდაიცვალა 326 კაცი.

**ტობოლსკი.** გუბერნიაში ავად გახდა 26 კაცი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** გუბერნიაში რაც სენი გაჩნდა, ავად გახდა 483, გარდაიცვალა 229. ქალაქში ავად არავინ არაა.

**ტომსკი.** გაიხსნა კერძო უმაღლესი საისტორიო ფილოლოგიური კურსები.

**პეტერბურგი.** გაზეთ „რუსი"-ს რედაქტორი კრამოლეი 1000 მანეთით დააჯარიმეს. გრადონაჩალნიკის მიერ 1907 წ. 2 ივნისს გამოცემულ საკალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.

**ორიოლი.** როცა მძარცვავებმა მატარებელი გააჩერეს, მემანქანე ჩამოვიდა და ვაგონების გასწვრივ გაემართა. ორი მუშა რევოლვერით ხელში წინ დაუხვდა და მოსთხოვა დაუყოვნებლივ თავის ადგილას დაბრუნებულიყო. ლიანდაგის ფერდობზე სამი კაცი იდგა, ერთს მათგანს ხელში კალათა ეჭირა ყუმბარებით და მეორეს ჩვენებით ისროდა. მეორე კლასის ვაგონის ქვეშ გადააგდეს ორი ყუმბარა, ორიც პირველ კლასის ვაგონ ქვეშ. მეორე კლასის ვაგონს ცეცხლი გაუჩნდა, პირველ კლასის ვაგონში ფანჯრები ჩაილეწა. მოკლულია მემანქანის თანაშემწე ვოლჩანსკი და გლეხი კლიუჩნიკოვი. როგორც ამბობენ, მძევრები დასწევიან მძარცვავთ და სროლა აუტეხიათ.

**ჰელსინგფორსი.** დასრულდა გამოძიება ადგილობრივ ტერორისტულ ორგანიზაციის საქმისა. გამოირკვა, რომ ორგანიზაცია მოქმედებდა რუს რევოლიუციონერებთან ერთად.

**კიშინიოვი.** გარდაიცვალა ქალი, რომელიც 7 ოქტომბერს ხოლერით ავად გახდა. სხვა ავად არავინ არ გამხდარა. მაზრაში ავად გახდა 1.

**ჩერნიგოვი.** გუბერნიაში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 3. ქალაქში ავად არავინ არ გამხდარა.

### უ ც ხ ო ე თ შ ი.

10 ოქტომბერი.

**ბერლინი.** 9 ოქტომბერს გერმანელ მუშა ნაციონალისტთა კონგრესზე წაკითხულ იქმნა ვილჰელმის საპასუხო დეპეშა: „გულწრფელ მადლობას გიძღვნით ერთგულ დამოკიდებულებისა და ნაციონალურ აზროვნებისთვის. მიხარის, რომ კონგრესში 1,200,000 პატრიოტულის გრძნობით გამსჭვალული მუშა ყოფილა, ვუსურვებ კონგრესს წარმატებას მუშა კლასისა და მთელ სამშობლოს საკეთილდღეოდ".

**მადრიდი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა სენატს შეატყობინა: ესპანია-საფრანგეთმა მისწერა თავისს ელჩებს, რომ სულთანად მხოლოდ აბდულ-აზიზი იცნანო. მაროკოში საერთაშორისო პოლიციის დაუარსებლობის შესახებ შეკითხვაზე მინისტრმა უპასუხა: საერთაშორისო პოლიციის დაარსება იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ამ სამსახურში შესვლა არ ისურვესო. დროებით პოლიციისათვის ესპანიამ ჯარი გაჰგზავნაო.

**სიმბრისჰამნი** (ნორვეგია). რუსის გემი „ლიტუანია" რამდენისამე ასის მგზავრით გამოვიდა როტტერდამიდან და 9 ოქტომბერს შილინგის მახლობლად გაირიყა. ზღვაზე ნისლია. კაპიტანმა შემწეობაზე უარი განაცხადა. გემი კოპენჰაგენთან უმავთულო დეპეშის შემწეობით ატყობინებს თავისს ამბავს. გემზე 795 მგზავრია. გემის წინა ნაწილი დაზიანდა. ტრიუმში წყალი 14 ფუტის სიმაღლეზე სდგას. კოპენჰაგენიდან მაშველად წავიდა 4 გემი, იმათ რიცხვში ერთი «ნეპტუნი»-ს საზოგადოებისა.

**თეირანი.** გუშინ შაჰმა მიიღო მეჯლისის თავმჯდომარე და ხელი მოაწერა ქაღალდს კაბინეტის დათხოვნის შესახებ. ახალი კაბინეტი ჯერ არ აურჩევიათ. მირაზიდან იუწყებიან: დიდი აშლილობააო. მოლაირმა და შენჯანის ოლქებში გუბერნატორებისათვის საქმით შეურაცხყოფა მიუყენებიათ.

12 ოქტომბერი

**ლონდონი.** კემპელ-ბანერმანმა დენფერმალეინში (შოტლანდია) სიტყვა წარმოსთქვა. ორატორი შეეხო ინგლისის საგარეო პოლიტიკას და აღნიშნა, რომ ჰააგის კონფერენციაზე ინგლისი მედგრად იცავდა მშვიდობიანობის, მეგობრობის და სამედიატო სამართალით საქმის გადაწყვეტის პრინციპებსაო. ინგლის-რუსეთის შეთანხმებაზე 15 წელიწადი ოცნებობდა ლიბერალური პარტია და ახლა ამ შეთანხმების შედეგი იქნება მშვიდობიანობა, რუსეთთან მეგობრობა და სამხედრო ხარჯის შემცირებაო.

**ოტტავა.** გამოაქვეყნეს კანადისა და ტოკიოს მთავრობათა შორის მიწერ-მოწერა, საიდანაც სჩანს, რომ 6 ოქტომბერს ინგლისის ელჩს მიკადოსთვის წარუდგენია კანადის მინისტრ-პრეზიდენტის დეპეშა. მიკადოს წერილი გაუგზავნია, სადაც დიდ სიხარულს აცხადებს, რომ ვანკუვერის გენერალ-გუბერნატორი და კანადის მთავრობა მოწადინებულნი არიან ხელი შეუწყონ იაპონია-ინგლის შორის არსებულ მშვიდობიან განწყობილების განმტკიცებასაო.

**ლისაბონი.** ჰამბურგ-ამერიკის საზოგადოების გემი „ბორუსია" 9 ოქტომბერს ნაპირით იტვირთებოდა. მოულოდნელად ტალღა მიაწყდა და ჩაიძირა. მეზღვაურები, ორის გარდა გადაარჩინეს. ორი კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

რედაქტორ-გამომცემელი **ე. აბალიშვილი.**


## განცხადებანი

მასწავლებელთა

**საყურადღებოთ!**

**ქართული წერის დედანი**

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კაპ.
ამ დედანთან სახმარებელი
**რვეულები 1 და 2 № 3 კაპ.**

„არითმეთიკული კრებული"
ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ.
„მეორე ნაწ. კრებულისა" (მისივე) 40 კ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები. მსურველს ფას დადებითაც გაეგზავნება. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".

მაღაზიის პატრონი, სოსიკო მერკვილაძე. (20—7)

გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად შილლერის თხზულება

**ფერხული**

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი ია ეკალაძე-ცინცაძისა.

წიგნი იყიდება: ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში (და ზოგიერთა სხვა მაღაზიაშიაც); ბაქოში—რევაზ ფავლენიშვილთან; გორში—არჩუაძესთან; ჭიათურაში—დეკანოზიშვილთან; ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთ"-ში.

ვთხოვთ ფოთისა და ბათუმის წიგნის მაღაზიებს, მიჰმართონ „იმერეთი"-ს მაღაზიაში კვიცარიძეს. სხვა ადგილებიდან უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას ან კიროჩნი ქუჩაზედ (№ 11) ს. ბერძნიშვილს ვინც ასცალს ნაღდად იყიდის, 30% დაეთმობა; კამისიით 20%. თითო წიგნი ღირს 30 კაპეიკად. (0—6.—1)

გამოვიდა და ისყიდება
**ა რ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე ს**
პირველ-დაწყებითი **ქართული**

**გ რ ა მ მ ა ტ ი კ ა**

**ფასი 40 კაპეიკი.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამომცემელს: Въ г. Тифлисъ. „Кавказская книжная торговля", Захарія Грикурова. იმავე მაღაზიაში იყიდება:

1. გოგებაშვილის მიერ შედგენილი ყველა წიგნები
აგრეთვე იყიდება ჩ ენ მიერ გამოცემული შემდეგი წიგნები:
2. გ. იოსელიანისა—„სამღრთო ისტორია", 33 სურათით. . . . . . . . 40 კაპ.
3. „ „ „ლოცვანი". . . . . . . . . 20 კაპ.
4. ა. ნატროშვილისა—„სახელმძღვანელო სამღრთო სჯულისა" ნაწილი I. . . 15 კაპ.
5. „ „ ნაწილი II. . . . . . . 25 კაპ.
6. „ათას ერთი ღამე", თარგმანი ჯანაშვილისა, 5 სურათით . . . . . . . 40 კაპ.
7. „რეინიკე კუდა-მელა", თარგმანი გ. იოსელიანისა, 10 სურათით . . . . . 50 კაპ.

ზემოხ ენებულ წიგნებს ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 20%. გზის ხარჯი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. (4—35—8)


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.